სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა–ტექნიკის ინსტიტუტი აცხადებს ღია

კონკურსს შემდეგი თანამდებობის დასაკავებლად:

საფინანსო და მატერიალური -ეკონომიკური უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

ადგილების რაოდენობა – 1 (ერთი) არასრული საშტატო განაკვეთი;

თანამდებობრივი სარგო : 660 ლარი;

ფუნქციები:

- შესყიდვებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის (ხელშეკრულება, მიღება--ჩაბარება) წესრიგში მოყვანა
- ხელშეკრულებების დროული მიწოდება შესაბამისი სამსახურისათვის
- სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებების რეგისტრაცია
- სამსახურებრივი კომპეტენციის ფარგლებში ხელმძღვანელების სხვადასხვა დავალებების შესრულება.

<u>კომპეტენციები:</u>

- პასუხისმგებლობის გრძნობა, გამართულად წერისა და მეტყველების უნარი, გუნდურად მუშაობის უნარი, შრომისმოყვარეობა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებულობა, კომუნიკაბელურობა, პროდუქტიულობა.

ენების ცოდნა:

- სახელმწიფო ენის სრულყოფილად ცოდნა.
- ერთ-ერთი უცხო ენის ცოდნა.

კომპიუტერული პროგრამები:

კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებს

– Microsoft Office Word, Microsoft Office Excel

<u>სავალდებულოდ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:</u>

- განცხადება არსებული ფორმის შესაბამისად;
- სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- ავტობიოგრაფია/CV;

შენიშვნა:

1. აღნიშნული დოკუმენტების წარმოუდგენლობა ან არაჯეროვანი სახით წარმოდგენა გამოიწვევს კონკურსანტის მოხსნას კონკურსიდან.
2. განცხადება უნდა იყოს ხელმოწერილი, დათარიღებული და შემდეგ დასკანერებული სახით

წარმოდგენილი.
3. დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე (უცხოურენოვანი დოკუმენტის შემთხვევაში საჭიროა მისი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის წარმოდგენა).

კონკურსანტებმა განცხადება და მოთხოვნილი დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ელექტრონულად, ელ. ფოსტის xlomidze@sipt.org.ge საშუალებით.

კონკურსში მონაწილეობისათვის საბუთების მიღება იწარმოებს 2025 წლის 24 დეკემბერს.

კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად:
I ეტაპი - განაცხადების გადარჩევა, რაც გულისხმობს კონკურსანტის მონაცემების შესაბამისობის დადგენას ვაკანტური თანამდებობისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებთან;
II ეტაპი - შერჩეული განაცხადების საფუძველზე მეორე ეტაპზე გადასული კონკურსანტის გასაუბრება საკონკურსო კომისიასთან.

შერჩევის მეორე ეტაპზე გადავლენ მხოლოდ ის კონკურსანტები, რომელთა მონაცემებიც დააკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს.

გასაუბრებაზე კონკურსანტის დროულად არგამოცხადების შემთხვევაში, იგი მოიხსნება კონკურსიდან.

კონკურსის შედეგები კონკურსანტს ეცნობება გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 1 სამუშაო დღისა, მის მიერ განაცხადში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე.